

მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად მრავალლიცენზიანი (თანმიმდევრული) აუქციონების გამოცხადებასთან დაკავშირებით გამართული საჯარო კონსულტაციების ფარგლებში წარმოდგენილი კომენტარების განხილვების ცხრილი

N	ადმინისტრაციული ორგანო/კერძო პირი და, საჭიროების შემთხვევაში, კომენტარების შემცველი დოკუმენტის თარიღი და ნომერი	კომენტარები	კომისიის პასუხი კომენტარებზე
1	სს "სილქნეტი" - №შ-24-6/3947, 09.09.2024		
1.1		<p>პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის გადაწყვეტილება, 2024 წელს დაგეგმილი 5G აუქციონებისთვის რადიოსიხშირული რესურსის საწყისი საფასური განსაზღვროს ბენჩმარკინგის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, რომელიც ხელოვნურად იწვევს 5G რესურსის საფასურის 500% მდე ზრდას, მაშინ როდესაც 2023 წლის აუქციონებისთვის იგივე რესურსის ღირებულება გაანგარიშებული იყო კომისიის დაკვეთით შპს „იუაი“-ს მიერ შემუშავებული ბიზნეს-მოდელირების მეთოდოლოგიით, წინააღმდეგობაში მოდის კანონმდებლობასთან; კერძოდ, კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილების მე-9 (2) მუხლი პირდაპირ განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სიხშირული რესურსის სავარაუდო ღირებულების შეფასება ხდება ორივე (ბენჩმარკინგის და ბიზნეს მოდელირების) მეთოდოლოგიის გამოყენებით, საფასურის საწყისი ოდენობის განსაზღვრისას უპირატესობა ენიჭება ბიზნეს-მოდელირების მეთოდოლოგიას.</p>	<p>კომისია ვერ გაიზიარებს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სიხშირული რესურსის ფასების ზრდა განაპირობა ბენჩმარკინგ მეთოდოლოგიის გამოყენებამ. როგორც ბენჩმარკინგი, ისე ბიზნეს-მოდელირება, ორივე არის აპრობირებული მეთოდოლოგია სიხშირული რესურსების ფასის გამოსათვლელად. 2019 წელს დათვლილ ფასთან შედარებით სხვაობა, რომელზედაც სს „სილქნეტი“ მიუთითებს კომენტარში, განაპირობა არა განსხვავებულმა მეთოდოლოგიამ, არამედ სატელეკომუნიკაციო ბაზრის განსხვავებულმა მოცემულობამ - აღნიშნულს ვრცლად განვმარტავთ ქვევით. კომუნიკაციების კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დებულების მე-9 მუხლით განსაზღვრულია, რომ „კომისიის მიერ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებებისა და მიწისზედა სისტემებისათვის ჰარმონიზებულ რადიოსიხშირულ დიაპაზონში სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური დგინდება შესაბამისი</p>

		<p>რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთისათვის ბენჩმარკინგის ან/და ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიებით“. შესაბამისად, დადგენილების თანახმადაც სიხშირული რესურსის გამოსათვლელად შესაძლებელია ორივე მეთოდის ერთდროულად ან ცალ-ცალკე გამოყენება და კომისიას აქვს დისკრეციული უფლებამოსილება თავად აირჩიოს თუ რომელი მეთოდით დაითვლის სიხშირული რესურსის საფასურს.</p> <p>2024 წლის რეალობისთვის ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში უკვე ჩატარებულია აუქციონები 700/800/2100/2600/3400-3800 სიხშირულ რესურსებზე, რაც საშუალებას იძლევა ფასები გამოთვლილ იყოს წარმომადგენლობითი შერჩევის გამოყენების გზით.</p> <p>რაც შეეხება მოსაზრებას, რომ მეთოდოლოგია „ხელოვნურად იწვევს“ ფასების ზრდას - ის ვერ იქნება გაზიარებული. 2023 წლის აუქციონის შემდგომ შეცვლილი თავისუფალი რესურსის მოცულობა იწვევდა ფასების გადათვლის აუცილებლობას, ფასების ზრდა (2019 წლის რეალობასთან შედარებით) კი განპირობებულია სხვადასხვა ობიექტური მიზეზებით, მაგალითად, როგორებიც არის რესურსის საფასურის დათვლის პერიოდისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> • მნიშვნელოვნად გაზრდილი ტრაფიკის მოცულობა როგორც ლოკალურ, ისე მსოფლიო და ევროპის ბაზრებზე; და • გაზრდილი მოთხოვნა მაღალ-ხარისხიან (სიჩქარე, დაყოვნება, სხვა) ინტერნეტზე. <p>რაც შეეხება დადგენილების ჩანაწერს, მეთოდოლოგიისთვის უპირატესობის მინიჭებასთან დაკავშირებით - „იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთისათვის 1 მჰც რესურსის სავარაუდო ღირებულების შეფასება ხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ორივე მეთოდოლოგიის გამოყენებით,</p>
--	--	--

			<p><i>ელექტრონული მომსახურებების სისტემებისათვის რადიოსიხშირულ რადიოსიხშირული სპექტრით საფასურის განსაზღვრისას საქართველოს ეკონომიკური კომუნიკაციების მარგის მაჩვენებლების მოდელირების მეთოდოლოგიას</i>, <i>საკომუნიკაციო მიწის ზედა ჰარმონიზებულ დიაპაზონში საარგებლობის საწყისი ოდენობის უპირატესობა ენიჭება დემოგრაფიული, ელექტრონული კომუნიკაციების დარგის ფინანსური მათხვეობის გათვალისწინებით ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიას</i>”;</p> <p>- ნათელია, რომ ის მიუთითებს მხოლოდ იმ მოცემულობაზე, როდესაც საფასური დათვლილია ერთდროულად ორივე მეთოდოლოგიით, რაც ამ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს.</p>
1.2		<p>საკითხის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ კომისია 2024 წლის აუქციონებისთვის გეგმავდა, სწორედ 2019/2020 წელს შპს „იუაი“-ს მიერ შემუშავებული ბიზნეს-მოდელირების მეთოდის საფუძველზე განესაზღვრა ლიცენზიების საწყისი საფასური და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსაგან (შემდგომში სააგენტო) თანხმობა მოიპოვა ერთ პირთან (კერძოდ, შპს „იუაი“-სთან) მოლაპარაკების გზით მომსახურების შესყიდვაზე (გამარტივებული შესყიდვა);</p> <p>შესყიდვების სააგენტოში კომისიის მიერ 2024 წლის 5 ივლისს წარდგენილ წერილობით მიმართვაში (SMP240001637), ძალიან ნათლად და ლოგიკურად არის განმარტებული და დასაბუთებული თუ რატომ უნდა განხორციელდეს 2024 წელს დაგეგმილი აუქციონების ფარგლებში სიხშირული რესურსის საფასურის იმ იდენტური ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიით და მოდელირებით გადაანგარიშება/დაკორექტირება, რომელიც შპს „იუაი“-მ კომისიის დაკვეთით (NAT190017863) 2019/2020 წელს შეიმუშავა და რომლის მიხედვითაც მოხდა 2023 წლის 5G აუქციონებზე ლიცენზიების საწყისი საფასურის განსაზღვრა.</p> <p>მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კომისიამ სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობის საფუძველზე შპს „იუაი“-სთან გაფორმებული ხელშეკრულებით შეიძინა არა არსებული (შპს „იუაი“-ს მიერ 2019/2020 წელს შემუშავებული) მოდელის განახლების და განახლებული მოდელის საფუძველზე სიხშირული რესურსის საფასურის დაკორექტირების მომსახურება, არამედ სრულიად ახალი, ბენჩმარკინგის მეთოდით საფასურის გაანგარიშების სერვისი.</p> <p>კომისიის ამგვარი ქმედება კი ეწინააღმდეგება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნებს. კომისიისთვის ცნობილია, რომ სააგენტოს თანხმობის საფუძველზე გაფორმებული</p>	<p>აღნიშნული კომენტარი ვერ იქნება გახიარებული. 2019-2020 წლებში საკონსულტაციო კომპანია „იუაი“-ს მიერ განხორციელებული ფასის დათვლა ითვალისწინებდა სიხშირული რესურსის საფასურის გაანგარიშებას ორივე - ბიზნეს მოდელირებისა და ბენჩმარკინგის მეთოდოლოგიის საფუძველზე.</p> <p>კომისიის მიზანს, იგივე საკონსულტაციო კომპანიასთან ურთიერთობის გაგრძელების თვალსაზრისით, წარმოადგენდა მეთოდოლოგიური მიდგომების უწყვეტად შენარჩუნება, რაც გამოიხატებოდა იმ ცვლადების, კორექტირებების თუ სხვა დაშვებების ნაწილში, რომელსაც საკონსულტაციო კომპანიები იყენებენ და მათ ინტელექტუალურ საკუთრებას წარმოადგენს.</p> <p>იქნება ეს ბიზნეს-მოდელირება თუ ბენჩმარკინგი, მოდელი გარკვეულ ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით ახდენს საფასურის გაანგარიშებას სხვადასხვა დაშვებების, პროგნოზებისა და ანალიზის საფუძველზე. ბენჩმარკინგის შემთხვევაში ხორციელდება საერთაშორისო მასშტაბით იგივე დიაპაზონებში წარმატებით</p>

ხელშეკრულებით დაცული უნდა იყოს ის პირობები, რომლებზეც სააგენტომ გასცა თანხმობა. სრულიად განსხვავებული მომსახურების შესყიდვით კომისიამ შეცდომაში შეიყვანა სააგენტო და გამარტივებული შესყიდვის გზით შეიძინა ისეთი მომსახურება, რომლის შესყიდვაზეც სააგენტოს თანხმობა არ გაუცია.

ჩატარებული მსგავსი აუქციონების შედეგების ნორმალიზება/მისადაგება საქართველოს რეალობასთან დემოგრაფიული, ეკონომიკური თუ სხვა კრიტერიუმებით.

2019 წლის შემდგომ შეიცვალა რეალობა სატელეკომუნიკაციო ბაზარზე, რაც განპირობებულია ძირითადად ტრაფიკის მნიშვნელოვანი ზრდით (განსაკუთრებით კი COVID პანდემიის შედეგად). შესაბამისად, 2024 წლის აუქციონისთვის მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ახალ გადათვლაში ასახულიყო ახალი ფაქტობრივი გარემოებები (მოთხოვნისა და მოხმარების კუთხით, რომელსაც ასახავს ჩატარებული აუქციონების შედეგები), ხოლო მეთოდოლოგიური მიდგომა დარჩენილიყო მაქსიმალურად უცვლელი, რასაც უზრუნველყოფდა საფასურის გაანგარიშების მომსახურების შესყიდვა იგივე საკონსულტაციო კომპანიისგან.

როგორც უკვე აღინიშნა, 2019 წელს კომისიის დაკვეთით შპს „იუაი“-მ განახორციელა სიხშირული რესურსის დათვლა ორივე მეთოდოლოგიის გამოყენებით (როგორც ბიზნეს-მოდელირებით, ისე ბენჩმარკინგით) და ასევე, უკვე აღვნიშნეთ, რომ კომისიას აქვს დისკრეციული უფლებამოსილება თავად აირჩიოს ორივე მეთოდით ერთდროულად დაითვლის საფასურს, თუ მხოლოდ რომელიმე ერთით. 2024 წლის აუქციონისთვის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია მხოლოდ ერთი, ბენჩმარკინგ მეთოდის გამოყენება გამომდინარე იქიდან, რომ 2024 წლისთვის 5G სპექტრის აუქციონის ჩატარების პრაქტიკული მაგალითების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც ბენჩმარკინგის მეთოდოლოგიით დათვლილი საფასურის სიზუსტეს უზრუნველყოფდა;

ამავდროულად, კომისია ვერ გაიზიარებს მოსაზრებას, რომ 2024 წელს გამოყენებული იყო „სრულიად ახალი“ მეთოდოლოგია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2019 წელს შპს

			<p>„იუაი“-მ ფასების დათვლა განახორციელა ორი მეთოდოლოგიით, მათ შორის ბენჩმარკინგითაც. კომპანიამ ბენჩმარკინგ მეთოდოლოგიის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია დაამუშავა მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით (რომელიც წარმოადგენს მის ინტელექტუალურ საკუთრებას) და ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ ბენჩმარკინგის მეთოდოლოგია ბოლო 10 წლის განმავლობაში ჩატარებული აუქციონებიდან აგროვებს ინფორმაციას, 2024 წლის გადათვლაში ბუნებრივად მოხვდა 2014-დან 2019 წლის ჩათვლით პერიოდში ჩატარებული აუქციონებიც.</p> <p>შესაბამისად, მოსაზრება იმის შესახებ, რომ კომისიამ გამარტივებული შესყიდვის გზით შეიძინა ისეთი მომსახურება, რომლის შესყიდვაზეც სააგენტოს თანხმობა არ გაუცია, არასწორია.</p>
1.3		<p>ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის მიერ 5G სალიცენზიო პირობად განსაზღვრული დაფარვის და სიჩქარის მძიმე ვალდებულებები იმდენად განსხვავდება კომისიის დაკვეთით 2019/2020 წელს შპს „იუაი“-ს მიერ შემუშავებულ მოდელში გამოყენებული დაშვებებისგან, რომ შემუშავებული მოდელის განახლება/დაკორექტირება შესაბამისი ახალი პარამეტრების გათვალისწინებით, ჩვენი შეფასებით, გამოიწვევდა 5G სიხშირული რესურსის ფასის შემცირებას და არა გაზრდას. შესაბამისად ვვარაუდობთ, რომ კომისიამ პირველადი შედეგების გაცნობისთანავე შეცვალა მიდგომა და სიხშირეების საფასურის ხელოვნურად გაზრდის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის დარღვევით, შპს „იუაი“-ს დაუკვეთა სრულიად ახალი, ბენჩმარკინგის მეთოდით საფასურის გაანგარიშების მომსახურება.</p>	<p>კომისიას 2024 წლის აუქციონში სიჩქარის და დაფარვის ძირითადი ვალდებულებები 2023 წლის აუქციონთან შედარებით არ გაუზრდია/დაუმძიმებია. პირიქით, ვალდებულებების ნაწილი შემსუბუქებულია - MVNO დაშვების ვალდებულება გახდა არჩევითი გარკვეული ფასდაკლების სანაცვლოდ ყველა ლოტისთვის, სადაც MVNO დაშვების ვალდებულება არის გათვალისწინებული.</p> <p>რაც შეეხება ვარაუდს, რომ კომისიამ შედეგიდან გამომდინარე აარჩია მოდელი - ის სიმართლეს არ შეესაბამება. როგორც ზემოთ განიმარტა, განსხვავებით 2019 წელს განხორციელებული ფასების დათვლისგან, კომისიამ ამჯერად მხოლოდ ერთი მეთოდოლოგია გამოიყენა, შესაბამისად გამორიცხული იყო მეთოდოლოგიის სუბიექტური არჩევის შესაძლებლობა და როგორც უკვე აღინიშნა, პრაქტიკაში გამოიყენება ფასების დათვლის ორივე მეთოდოლოგია, შესაბამისად ერთი და იმავე პერიოდისთვის ფასებს შორის ისეთი მასშტაბური განსხვავება, როგორც ამას სს</p>

			„სილქნეტი“ მიუთითებს არ არის შესაძლებელი. მეთოდოლოგიის შესახებ გთხოვთ, იხილოთ კომენტარი 1.2
1.4		გთხოვთ განმარტოთ, კომისიამ სააგენტოს მიერ გაცემული 2024 წლის 10 ივლისის № 1894 თანხმობის საფუძველზე შპს „იუაი“-სთან გაფორმებული N 2207/01-24 ხელშეკრულებით რატომ არ შეიძინა შპს „იუაი“-ს მიერ 2019/2020 წელს შემუშავებული მოდელის (NAT190017863) განახლების და განახლებული მოდელის საფუძველზე სიხშირული რესურსის საფასურის დაკორექტირების მომსახურება და რატომ დაუკვეთა შპს „იუაი“-ს სრულიად ახალი, ბენჩმარკინგის მეთოდით საფასურის გაანგარიშების მომსახურება, რაზეც სააგენტოს თანხმობა არ გაუცია;	გთხოვთ, იხილოთ პასუხები 1.1-1.3 კომენტარებზე.
1.5		ვინაიდან კომისია თვლის, რომ მიუკერძოებლობის პრინციპიდან გამომდინარე, სიხშირული რესურსის ხელახალი გადათვლისას, მნიშვნელოვანია, რომ შეიცვალოს მხოლოდ შესაბამისი პარამეტრები და არა თავად მიდგომა, რათა არ გამოიწვიოს სიხშირული რესურსის შემძენი კომპანიების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება (2023 წლის და 2024 წლის აუქციონისთვის), გთხოვთ, განმარტოთ რა საფუძველით და რა მიზნით განახორციელა კომისიამ 2024 წელს დაგეგმილი აუქციონებისთვის რადიოსიხშირული რესურსის საწყისი საფასურის გადაანგარიშება ბენჩმარკინგის მეთოდოლოგიით;	გთხოვთ იხილოთ პასუხი 1.2 კომენტარზე.
1.6		როგორც იცით, დღეს საქართველოში, სიხშირეთა ეროვნული გეგმით 700/800/900/2100/2300/1400/2600/3600 მჰც დიაპაზონებში მობილური მომსახურებისათვის ხელმისაწვდომია/თავისუფალია 799 მჰც რესურსი, რაც გაცილებით მეტია, ჯამურად სამივე მობილური ოპერატორის სარგებლობაში არსებულ (460 მჰც) რესურსზე (რომლითაც ხორციელდება საქართველოს მომხმარებლებისათვის 2G/3G/4G/5G მომსახურებების მიწოდება) და რომელიც შესაძლებლობას იძლევა, ეფექტურად და სწრაფად დაინერგოს და განვითარდეს ერთმანეთის კონკურენტი 5G ქსელები და მომსახურებები; ხოლო ე.წ. ახალ 26 გჰც დიაპაზონში 5G ქსელებისთვის საქართველოშიც დამატებით განაწილებულია/ხელმისაწვდომია 3000 მჰც-მდე სიხშირული რესურსი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის მიერ ლიცენზიებით განსაზღვრული მძიმე ვალდებულებები, კერძოდ 5G ქსელებით დასახლებული პუნქტების, გზების, მაგისტრალების, სარკინიგზო ტრასების დაფარვისა და რეალურ პირობებში მომხმარებლებისათვის მინიმალური სიჩქარის უზრუნველყოფის პირობები და მონიტორინგის მკაცრი წესები, როგორც ტექნიკურად, ასევე ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ტვირთია ოპერატორებისათვის და თუ დამატებით გავითვალისწინებთ საქართველოში აუთვისებელი მობილური სიხშირული რესურსის ოდენობას და 2023 წელს ჩატარებული აუქციონის შედეგებს, კიდევ უფრო გაუგებარი ხდება კომისიის მიდგომა 2024 წელს დაგეგმილი აუქციონების ფარგლებში,	თავისუფალი რესურსის არსებობა მნიშვნელოვანია ბაზარზე ახალი ტექნოლოგიების გაჩენის კვალდაკვალ მოთხოვნის ზრდიდან გამომდინარე, ასევე, ბაზარზე ახალი მოთამაშეების შემოსვლის უზრუნველსაყოფად ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების მიზნით, რამეთუ კომისიის კანონით განსაზღვრულ ამოცანას წარმოადგენს „ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფისა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება, შენარჩუნება და განვითარება.“; ასევე, კომისიის ფუნქციას წარმოადგენს „ამოწურვადი რესურსების მართვა და მათი ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა, ინოვაციური ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის უზრუნველსაყოფად და კონკურენტუნარიანი გარემოს

2023 წელთან შედარებით 500%-ით გააძვიროს სიხშირული რესურსის საფასური;

სიხშირული დიაპაზონი	2023 წელს ჩატარებული აუქციონებისთვის ბიზნეს - მოდელირებით გაანგარიშებული 1 მპც რესურსის ფასი (ლარი)	2024 წელს დაგეგმილი აუქციონებისთვის ბენჩმარკინგის მეთოდით გაანგარიშებული 1 მპც რესურსის ფასი (ლარი)	ფასის ზრდა (%)
700 მპც	363,000	2,062,560	468%
3400 -3700 მპც	52,000	278,133	435%
2600 მპც	27,000	183,429	579%

მივიჩნევთ, რომ ამგვარი მიდგომა ხელოვნურად შეაფერხებს ქვეყანაში ერთმანეთის კონკურენტი მე-5 თაობის ქსელების ეფექტურად დანერგვას და ხელს შეუშლის მობილურ ქსელებში მრავალმილიონიანი ინვესტიციების განხორციელებას, რაც თავის მხრივ გარდა იმისა, რომ პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ქვეყნის სტრატეგიასთან, ნეგატიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

განვითარებისათვის რადიოსიხშირული სპექტრის ოპტიმალური განაწილება და ეფექტიანი გადანაწილება...”
 მივიჩნევთ, რომ გონივრულ საბაზრო ფასად სიხშირული რესურსის გაცემა, მთელ მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, ვერ შეუქმნის საფრთხეს საინვესტიციო ფონს. ამასთან, როგორც ბოლო პერიოდის მონაცემებმა აჩვენა, სატელეკომუნიკაციო მომსახურებებზე (სერვისებზე), განსაკუთრებით კი ინტერნეტ კავშირზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად მზარდი ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნული აისახა კიდეს სიხშირული რესურსის ფასებში, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და მოსალოდნელია, რომ მომავალში კვლავ განაგრძობს მნიშვნელოვან ზრდას.. ასევე, გთხოვთ იხილოთ პასუხი 1.1 კითხვაზე.

1.7

გთხოვთ განმარტოთ, რატომ თვლის კომისია, რომ უნდა გააძვიროს 5G ლიცენზიების საფასური, იმ პირობებში, როდესაც ლიცენზიებით განსაზღვრულია მძიმე დაფარვისა და სიჩქარის ვალდებულებები, ხოლო თავისუფალი/გაუნაწილებელი სიხშირული რესურსი მნიშვნელოვნად აღემატება ოპერატორების სარგებლობაში და შესაბამისად მობილური ქსელების ფარგლებში გამოყენებულ რესურსს

გთხოვთ იხილოთ პასუხი 1.1-1.3 და 1.6 კომენტარებზე.

1.8

Frontier Economics

1.8.1

სიხშირული რესურსის მართვისას, მარეგულირებლის მთავარი მიზანია უზრუნველყოს მთელი სიხშირული რესურსის პროდუქტიულად/ეფექტიანად გამოყენება, რათა შემცირდეს ხარჯები და მაქსიმალურად გაიზარდოს მომხმარებელთა სარგებელი. აუქციონი, რომლის შედეგად არ ხორციელდება სიხშირული რესურსის მინიჭება/გაცემა ბაზრის მონაწილეებზე, ნათელია რომ არაოპტიმალურია. აღნიშნული იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ამგვარ შემთხვევაში (თუ ვერ მოხდა რესურსის გაცემა) სიხშირული რესურსი არ გამოიყენება მომსახურების მისაწოდებლად – რაც ნიშნავს, რომ ან მომსახურების მიწოდება ხორციელდება უფრო მაღალი ხარჯებით, ან საერთოდ არ ხორციელდება

კომისია იზიარებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აუქციონის მიზანი უნდა იყოს სიხშირული რესურსის ეფექტიანად გამოყენება. თუმცა კომისიის ვალდებულებაა რომ შეზღუდული სიხშირული რესურსი მაქსიმალურად ეფექტიანად (ფასის, დაფარვის და დაშვების ვალდებულების გათვალისწინებით) იყოს განაწილებული/გამოყენებული.

მომსახურების მიწოდება. მაშასადამე, მარეგულირებლის მიზანია მოახდინოს მთელი ხელმისაწვდომი სიხშირული რესურსის მინიჭება/გაცემა. თუ ვერ განხორციელდა რესურსის გაცემა/მინიჭება, აღნიშნული კვალიფიცირდება როგორც მარეგულირებლის ჩავარდნა/წარუმატებლობა.

ზემოაღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, მარეგულირებლები, როგორც წესი, სიხშირული რესურსის საწყის საფასურს განსაზღვრავენ კონსერვატიულად, რათა უზრუნველყონ, რომ მათ მიერ განსაზღვრული ფასი არ აღმოჩნდეს საბაზრო ღირებულებაზე მაღალი. აღნიშნული კი საჭიროებს, რომ მარეგულირებელს ქონდეს კარგად ინფორმირებული ხედვა ადგილობრივ ბაზარზე რესურსის მოსალოდნელი საბაზრო ღირებულების თაობაზე. ისეთი ფაქტორები, როგორცაა დაფარვის და მომსახურების ხარისხის ვალდებულებების შესრულების ღირებულება, რაც თან ერთვის ლიცენზიებს, ჩატარებული აუქციონის შედეგები და შესაბამისი ადგილობრივი ბაზრის მონაცემები/სტატისტიკა წარმოადგენს ძირითად მონაცემებს, რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება რესურსის საბაზრო ღირებულების შეფასება, ძირითად შემთხვევებში ბიზნეს-მოდელირების საფუძველზე. საერთაშორისო ბენჩმარკინგი გამოიყენება, როგორც საფასურის გადამოწმების მეთოდოლოგია; თუმცა, აუქციონების პირობები, როგორც წესი კომპლექსურია და ბენჩმარკინგის მეთოდით ამგვარი პირობების ინტერპრეტირება რთულია, როდესაც აუქციონის სალიცენზიო ვალდებულებები განსხვავებულია.

2024 წლის აუქციონსა და 2023 წლის აუქციონებს შორის ფასის განსხვავების თაობაზე დამატებითი განმარტებისთვის გთხოვთ, იხილოთ პასუხი 1.1. კომენტარზე. რაც შეეხება გამოთქმულ მოსაზრებას, რომ 2023 წლის აუქციონი ჩავარდა და შესაბამისად კომისიამ საფასური უნდა განსაზღვროს უფრო კონსერვატიულად, ვერ იქნება გაზიარებული. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ 2023 წლის აუქციონის შედეგად 5G-სთვის განკუთვნილი სიხშირული რესურსი გაიცა შპს „სელფი მობაილზე“ და კომპანიამ უკვე დაიწყო 5G ტექნოლოგიის მომსახურების მიწოდება მინიჭებული რესურსის გამოყენებით. აღნიშნულით, საბაზრო ძალაუფლებით მესამე ოპერატორს საშუალება მიეცა მცირედით მაინც გაეუმჯობესებინა მდგომარეობა, ამასთან შპს „სელფი მობაილმა“ სიხშირული რესურსი შეისყიდა MVNO დაშვების ვალდებულებით, რაც ხელს შეუწყობს ბაზარზე მობილური ვირტუალური ოპერატორების გაჩენას. შესაბამისად, აუქციონი ვერ მიიჩნევა ჩავარდნილად/წარუმატებლად, როგორც ეს კომენტარშია აღნიშნული.

ამასთან, 5G ტექნოლოგიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით კომისიამ, 2023 წელს ჩატარებული აუქციონის პირობებით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ფასდაკლებებით, ოპერატორებს საშუალება მისცა შედარებით ხელსაყრელი პირობებით მიეღოთ სიხშირული რესურსი, თუმცა, საფასური არ აღმოჩნდა ის მასტიმულირებელი მექანიზმი, რაც უბიძგებდა ოპერატორებს მიეღოთ 5G სიხშირული რესურსის ლიცენზია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აუქციონში სს „სილქნეტისა“ და შპს „მაგთიკომის“ მიერ მონაწილეობაზე უარის მიზეზი გახდა მათი ნეგატიური დამოკიდებულება MVNO დაშვების ვალდებულებასთან მიმართებით (ამგვარი ვალდებულება სალიცენზიო პირობაში ევროპის არაერთი ქვეყნის

			<p>პრაქტიკაში გვხვდება, ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც ბაზარზე რამდენიმე ათეული MVNO ოპერირებს), თუმცა გასათვალისწინებელია, რომ კომისიამ გადადგა შემხვედრი ნაბიჯი და საჯარო წარმოების მიმდინარეობისას შეიტანა ცვლილება პროექტში, რომლის მიხედვითაც გარკვეული ლოტები სრულად გათავისუფლდა MVNO დაშვების ვალდებულებისგან. მიუხედავად აღნიშნული ქმედებისა, ოპერატორებმა მაინც უარი განაცხადეს აუქციონში მონაწილეობაზე.</p> <p>შესაბამისად, კომენტარებში არაერთგზის დაფიქსირებული მოსაზრება, რომ კომისიამ გაცილებით დაბალი საწყისი საფასურითაც კი ვერ შეძლო 2023 წელს სიხშირული რესურსის გაცემა, არ შეესაბამება სიმართლეს - აუქციონის შედეგად გაცემულია სიხშირული რესურსი 1 კომპანიაზე, ხოლო სხვა ოპერატორების მხრიდან მონაწილეობაზე უარის მიზეზი იყო არა მაღალი საწყისი საფასური, არამედ დამოკიდებულება აუქციონის პირობების ფარგლებში გათვალისწინებული MVNO დაშვების ვალდებულებისადმი.</p> <p>რაც შეეხება ბენჩმარკინგ მეთოდოლოგიის შერჩევის საკითხს, გთხოვთ, იხილოთ 1.2 კომენტარზე პასუხი.</p>
1.8.2		<p>საქართველოში მოქმედი მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით, სიხშირული რესურსის ღირებულების შეფასებისას კომისიას შეუძლია გამოიყენოს როგორც ბიზნეს მოდელირების მიდგომა, ასევე საერთაშორისო ბენჩმარკინგი, თუმცა უპირატესობა ენიჭება ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიას. გარდა ამისა, საწყისი საფასურების დადგენისას, კომისიამ უნდა განსაზღვროს შესაბამისი ფასდაკლებები. ჩვენი შეფასებით კომისიის მიერ 2024 წელს საკონსულტაციოდ გამოქვეყნებული მიდგომა არ შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. ეს იმიტომ, რომ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. კომისიამ უპირატესობა მიანიჭა ბენჩმარკინგის მეთოდოლოგიას და არა ბიზნეს მოდელირების მიდგომას (რაც წინააღმდეგობაში მოდის მარეგულირებელ ბაზასთან/კანონმდებლობასთან). ვინაიდან ბენჩმარკინგით გათვლილი საფასური მნიშვნელოვნად აღემატება ბიზნეს მოდელირების მიდგომით გაანგარიშებულ შედეგებს, კომისიას სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად გადაჭარბებულად აქვს შეფასებული რესურსის ღირებულება, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ გაცილებით 	<ol style="list-style-type: none"> 1. სიხშირული რესურსის საფასურის დათვლის მოდელის შერჩევასთან დაკავშირებით, გთხოვთ იხილოთ პასუხი კითხვაზე 1.2. 2. შესაბამისი ფასდათმობების შესახებ აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სიხშირული რესურსის ღირებულებაზე ფასდაკლების სავალდებულო წესით გავრცელებას. „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის

	<p>ნაკლები საწყისი საფასურით, სიხშირული რესურსი არ გაიყიდა წინა აუქციონებში (მკაცრი დაფარვისა და ხარისხის ვალდებულებების გათვალისწინებით).</p> <p>2. ComCom-მა უგულებელყო ის ფაქტი, რომ მკაცრი სალიცენზიო ვალდებულებების გათვალისწინებით, გაცილებით დაბალი საწყისი საფასურითაც კი მან 2023 წელს ვერ შეძლო სიხშირული რესურსის გაყიდვა/გაცემა. კომისიას არ აქვს განმარტებული თუ რა შეიცვალა ბაზარზე 2023-2024 წლებში, რაც გაამართლებდა სიხშირული რესურსის საფასურის მასიურ ზრდას, რომელიც მოცემულია დიაგრამა 1-ზე. ჩვენი ანალიზი მიუთითებს, რომ 2023- 2024 წლებში ბაზარზე განხორციელებული ცვლილებები მინიმალურია და ამდენად, ვერ გაამართლებს ფასის ამგვარ ზრდას/ცვლილებას.</p> <p>სიხშირული ლოტებისთვის საწყისი საფასურის დადგენისას ComCom-მა ბენჩმარკინგის მოდელით გათვლილ სავარაუდო საფასურს არ მიუსადაგა ფასდაკლებები. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ბაზა მოითხოვს, რომ მარეგულირებელმა უნდა განსაზღვროს სულ ცოტა 5%-იანი ფასდაკლება, ჩვენ ვხედავთ, რომ 800 მჰც და 2100 მჰც ლოტებისათვის არ არის განსაზღვრული არანაირი ფასდაკლება. დამატებით, როგორც ვხედავთ ერთადერთი ვალდებულება, რომლისთვისაც გათვალისწინებულია ფასდაკლება არის “MVNO დაშვების ვალდებულება” და არანაირი ფასდაკლება არ არის განსაზღვრული დაფარვისა და ხარისხის ვალდებულებებისათვის.</p>	<p>დებულება“ ითვალისწინებს კომისიის უფლებამოსილებას, რომ საჭიროების შემთხვევაში, მისი დისკრეციის ფარგლებში, გააკეთოს ორი ტიპის ფასდაკლება: 1. 5%-დან 20%-მდე ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და სალიცენზიო ვალდებულებების გათვალისწინებით და 2. დამატებით არაუმეტეს 60%-იანი ფასდაკლება ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში ეფექტიანი ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობის წახალისების მიზნით. შესაბამისად, სათანადო წინაპირობების არსებობისას კომისიას აქვს დისკრეციული უფლებამოსილება გააკეთოს ასეთი ფასდაკლება, რაც ამ შემთხვევაშიც მოხდა და მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების დაშვების ვალდებულების სანაცვლოდ, კომისიამ დაადგინა 20%-იანი ფასდაკლება. დამატებით გთხოვთ იხილოთ პასუხი კითხვაზე 1.8.1</p>
1.8.3	<p>კვლევაში გამოყენებული ნორმალიზაციის მეთოდოლოგია მნიშვნელოვნად აცდენილია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას:</p> <p>1. ლიცენზიის ხანგრძლივობის კორექტირება: ლიცენზიის ხანგრძლივობის განსხვავებების ნორმალიზაციისთვის Ofcom იყენებს დაბეგვრამდე კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებას (WACC) ნომინალური ფასების კორექტირებისთვის. ეს უზრუნველყოფს სპექტრის ფასების ნორმალიზებას სხვადასხვა ქვეყნებში სპექტრის ლიცენზიების სხვადასხვა ხანგრძლივობისთვის, რაც შესაძარებლად სამართლიან საფუძველს იძლევა. ამის მსგავსად, ComReg ახდენს ლიცენზიის</p>	<p>კომისიამ გაიზიარა Frontier Economics-ის კომენტარების ნაწილი, რომელიც ეხებოდა ერთ-ერთი მაკორექტირებელი ცვლადის - მსყიდველობითი უნარის პარიტეტის (PPP) გამოყენებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ Frontier-ის მიდგომა, რომელიც გაცხადებულად ემყარება მხოლოდ ორი ქვეყნის მაგალითს - დიდი ბრიტანეთის და ირლანდიას - ვერ იქნება წარმომადგენლობითი შერჩევა</p>

	<p>ხანგრძლივობის ნორმალიზებას დაბეგვრის შემდგომი WACC-ით კორექტირებით.</p> <p>2. კორექტირება ინფლაციისთვის: სხვადასხვა წლის ფასების შესადარებლად, Ofcom გაერთიანებული სამეფოს სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) გამოყენებით ყველა ისტორიულ ფასს მიმდინარე ფასებში აკონვერტირებს. ეს კორექტირება უზრუნველყოფს, რომ ფასების მონაცემები გვიჩვენებდეს მიმდინარე ეკონომიკურ პირობებს, რაც გამორიცხავს ინფლაციის შედეგად გამოწვეულ განსხვავებებს დროთა განმავლობაში. ComReg-ის მიდგომა არის აშშ-ს CPI ინდექსაციის გამოყენებით ინფლაციის გაანგარიშება ფასებზე მათი დოლარად გადაქცევის შემდეგ, რაც კიდევ ერთი გზა არის იმ ვალუტებს შორის შესაბამისობისთვის, რომლებშიც ფიქსირებულია აუქციონის ფასი და ინფლაცია.</p> <p>3. ფასების კონვერტაცია საერთო ვალუტაში: Ofcom PPP-ით კორექტირებული გაცვლითი კურსის გამოყენებით ყველა ფასს ბრიტანულ ფუნტში (£) აკონვერტირებს. მხოლოდ PPP-ით კორექტირებული გაცვლითი კურსის გამოყენებით ComReg ასევე ასრულებს ყველა სავალუტო კორექტირებას (ადგილობრივი ვალუტიდან აშშ დოლარში, აუქციონის დროს, შემდეგ აშშ დოლარიდან ევროში ბენჩმარკინგის დროს). PPP-ის კორექტირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან ის ითვალისწინებს ქვეყნებს შორის ფასების დონეზე განსხვავებებს, რაც უზრუნველყოფს, რომ შედარება ასახავდეს სპექტრის ნამდვილ ეკონომიკურ ღირებულებას ადგილობრივ შესყიდვის უნარიანობასთან შედარებით.</p> <p>4. სკალირება მოსახლეობის ზომის მიხედვით: Ofcom-ის მიდგომა არის ფასების კორექტირება მოსახლეობის ზომის სკალირების გზით იმავე პროპორციით რა პროპორციითაც ეფარდება გაერთიანებული სამეფოს მოსახლეობა კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობას. ანალოგიურად, ComReg აღრიცხავს მოსახლეობას ფასების გამოხატვით, როგორცაა MHz ერთ სულ მოსახლეზე, ანუ ლიცენზიით დაფარულ მოსახლეობაზე. ეს კორექტირება გადაწყვეტია, რადგან ის იძლევა სხვადასხვა ზომის ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი შედარების საშუალებას, რაც უზრუნველყოფს, რომ ფასების მონაცემები ასახავდეს სპექტრის ღირებულებას ერთ სულ მოსახლეზე.</p>	<p>ევროკავშირის კონტექსტში. რაც შეეხება თავად კომენტარებს, იხილეთ ისინი ქვემოთ:</p> <p>1. შპს „იუაი“-ს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია ითვალისწინებს სალიცენზიო უფლებების ხანგრძლივობას და 15 - წელთან შედარებით განსხვავების შემთხვევაში აკორექტირებს სიხშირული რესურსის საფასურს. თუმცა აღსანიშნავია, რომ კორექტირებაში არ ითვლება პოტენციური გახანგრძლივების პერიოდები, რაც აიხსნება იმ ფაქტით, რომ აღნიშნულ პერიოდებს არ აქვთ ზეგავლენა შერჩევაში მონაწილე აუქციონების ფასებზე;</p> <p>2. შპს „იუაი“-ს მეთოდოლოგიის მიხედვით სხვადასხვა პერიოდში გასხვისებული სიხშირული რესურსის საფასური კორექტირდება შესაბამისი სამომხმარებლო ფასების ინდექსით, რის შემდეგაც ხდება თანხის გადაყვანა ამერიკულ დოლარში და საბოლოოდ ქართულ ლარში.</p> <p>3. კომისიამ გაიზიარა Frontier Economics-ის მოსაზრება PPP-ს გამოყენებასთან დაკავშირებით და მოხდა საფასურის შესაბამისად გადაანგარიშება.</p> <p>საფასურის დათვლისას გამოყენებული მიდგომა სიხშირული რესურსის ბენჩმარკინგ მოდელირებისას ითვალისწინებს ამოვარდნილი/ანომალიური მონაცემების გამორიცხვას. მოსახლეობის თვალსაზრისით ეს განხორციელდა შედარებაში მონაწილე ქვეყნების მოსახლეობების სიმრავლის მედიანის (10.5 მილიონი მოსახლე) მონაცემზე მეტი მოსახლეობის ქვეყნების ამოღებით.</p>
1.8.4	<p>კვლევაში გამოყენებულ მნიშვნელობებში აშკარა ხარვეზებია/ანომალიებია, რომლებიც, სავარაუდოდ, გამოწვეულია მათემატიკური შეცდომებით. ამ ხარვეზების/შეცდომების მაგალითები მოცემულია 5.2. თავში.</p>	<p>ამ საკითხთან დაკავშირებით მოხდა მონაცემების გადამოწმება. დადასტურდა, რომ გარკვეულ მექანიკურ შეცდომას ჰქონდა ადგილი და განხორციელდა შესაბამისი კორექტირება, რაც (PPP მოდიფიცირებასთან ერთად) ასახულია საფასურში.</p>

1.8.5		<p>EY-ის ბენჩმარკინგის კვლევით საერთოდ არ არის შეფასებული, თუ რამდენად ასახავს საქართველოში საბაზრო ღირებულებას სხვადასხვა ინდივიდუალურ აუქციონებზე დაფიქსირებული ფასი; შედეგად კვლევაში გამოყენებული ბენჩმარკები სავარაუდოდ მოიცავს რიგ ისეთი აუქციონის შედეგებს, რომელიც არ არის ეროვნულ დონეზე საბაზრო ღირებულების ამსახველი (მაგალითად კვლევაში გამოყენებულია ისეთი მაგალითები, რომლებიც სხვა მარეგულირებლების მიერ მიჩნეულ იქნა არასანდოდ) მნიშვნელოვანია, რომ ბენჩმარკინგის მეთოდით კვლევისას განხილულ იქნეს ყველა ბენჩმარკი და გამოირიცხოს არასანდო მაგალითები.</p>	<p>გამოყენებული მეთოდოლოგია ჩატარებული აუქციონების მსგავსი ტიპის ჯგუფების შექმნას არ ითვალისწინებს, თუმცა როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ხორციელდება ანომალური მონაცემების გამორიცხვა გამოყენებული შერჩევიდან.</p>
1.8.6		<p>ჩვენ არ ვიცით არცერთი შემთხვევა, როდესაც მარეგულირებელმა გაზარდა სიხშირული რესურსის საწყისი საფასური, მას შემდეგ რაც რესურსი არ გაიყიდა აუქციონზე, და მარეგულირებელმა მალევე სცადა რესურსის უფრო მაღალი საფასურით გაყიდვა. ხოლო თუ გავითვალისწინებთ საწყისი საფასურის დადგენის მიზანს და იმ შედეგებს, რაც თან სდევს სიხშირეების გაუყიდავად დატოვებას, აღნიშნული გასაკვირი არ არის.</p>	<p>გთხოვთ იხილოთ კომენტარი 1.8.1</p>
1.8.7		<p>კომისიასა და EY-ს შორის გაფორმებული N 2207/01-24 ხელშეკრულებით (პუნქტი 6.4.) განსაზღვრულია, რომ - “700/800/2600/3400-3800 მჰვ დიაპაზონების სიხშირული რესურსის ღირებულების გაანგარიშებისათვის განახლებული საფასური უნდა ემყარებოდეს ევროკავშირის ქვეყნებში სატელეკომუნიკაციო ბაზრებზე ბოლო 10 წლის განმავლობაში დაფიქსირებულ ანალოგიური სიხშირის ფასის მაჩვენებლებს ლიცენზიების 15 წლიანი ვადის, შესაბამისი დიაპაზონის ტექნიკური და კომერციული პარამეტრების, შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებული სიჩქარის და დაფარვის ვალდებულებების და ქვეყნისთვის სპეციფიკური სხვა რელევანტური მახასიათებლების გათვალისწინებით”;</p> <p>კომისიის მიერ გამოქვეყნებულ ბენჩმარკინგის დოკუმენტში არსად არ არის მითითებული, რომ მონაცემების ნორმალიზება განხორციელდა კომისიის მიერ განსაზღვრული სიჩქარისა და დაფარვის პარამეტრების გათვალისწინებით.</p> <p>გთხოვთ, განვიმარტოთ ბენჩმარკინგის კვლევის ფარგლებში რა სახის სიჩქარის და დაფარვის პარამეტრების გათვალისწინება მოსთხოვა კომისიამ EY-ს და როგორ განხორციელდა კომისიის მიერ განსაზღვრული მოთხოვნების ასახვა მონაცემების ნორმალიზებისას.</p>	<p>კომისიამ 2024 წლის აუქციონის ფარგლებში განსაზღვრა იგივე სიჩქარე და დაფარვის ძირითადი ვალდებულებები, რაც იყო გათვალისწინებული 2023 წლის აუქციონში. ამასთან, სიჩქარის და დაფარვის ძირითადი ვალდებულებების მხრივ ექსპერტების შეფასებით, კომისიის მიერ გათვალისწინებული ვალდებულებები იყო უფრო მსუბუქი, ვიდრე ამას სხვა ქვეყნებში ჩატარებული აუქციონების პირობები ითვალისწინებდა, შესაბამისად ნორმალიზება ამ კომპონენტით არ მომხდარა, ვინაიდან ამის საჭიროება არ არსებობდა.</p>
1.8.8		<p>გთხოვთ მოგვაწოდოთ შპს „იუაი“-ს მიერ შემუშავებული, სრული დოკუმენტაცია, მათ შორის Excel-ის დოკუმენტი, რომელიც ხელშეკრულების თანახმად გადმოგვცათ შპს „იუაი“-სგან და რაც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ ბენჩმარკინგისას გამოყენებული სრული მონაცემები.</p>	<p>საფასურის გაანგარიშების სრული მოდელი წარმოადგენს შპს „იუაი“-ს ინტელექტუალურ საკუთრებას - კერძოდ იმ დაშვებებისა და კორექტირებების გათვალისწინებით, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ და რისი გამოყენებითაც ხორციელდება ნედლი მონაცემების დამუშავება სამიზნე ქვეყნის (საქართველოს) მონაცემების მისაღებად. შესაბამისად, დოკუმენტი იმ სახით, რითაც არის</p>

			გაზიარებული დაინტერესებულ მხარეებთან არის კომისიის ხელთ არსებული, სრული ვერსია.
2	შპს "მაგთიკომი" - №შ-24-6/3866, 05.09.2024		
2.1		<p>გთხოვთ, განგვიმარტოთ ყველა ის გარემოება, რაც საფუძვლად დაედო კომისიის მხრიდან სიხშირეების საწყისი საფასურის გაანგარიშებისას ბენჩმარკინგის მეთოდოლოგიის გამოყენებას, ნაცვლად 2023 წლის აუქციონში გამოყენებული ბიზნეს-მოდელირების მეთოდოლოგიისა. კომისიამ გამოქვეყნებულ პროექტში სიხშირეების საწყისი საფასური გაზარდა 5-ჯერ (!!!) 2023 წელთან შედარებით. კომისიის ეს ქმედება აჩენს ლოგიკურ კითხვას, ყოველივე ეს მიზნად ხომ არ ისახავს 2023 წლის აუქციონში გამარჯვებული ოპერატორისთვის "სასათბურე პირობების" შექმნას სხვა ოპერატორების დისკრიმინაციის ხარჯზე? შეგახსენებთ, რომ 2014 წელს, ხსენებულ გამარჯვებულ ოპერატორს ერთხელ უკვე შეუქმენით "სასათბურე პირობები", როდესაც მხოლოდ მას მიეცით საშუალება კონკურენციის გარეშე შეეძინა 800 მჰც სიხშირული ზოლი და სხვა ოპერატორები არ დაუშვით აუქციონში, რომელთაც მხოლოდ ერთი წლის გასვლის შემდეგ მიეცათ შესაძლებლობა შეეძინათ 800 მჰც სიხშირული ზოლი.</p>	გთხოვთ იხილოთ პასუხი 1.1 და 1.2 კითხვებზე
2.2		<p>თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ ევროკომისიის რეკომენდაციის თანახმად, ტექნოლოგიების სწრაფი და ეფექტური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მიეცათ რეკომენდაცია მიეღოს ეფექტური გადაწყვეტილებები ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურისა და 5G ქსელების განვითარების მიზნით, ლიცენზიების დროული გაცემით და ფინანსური შეღავათების გათვალისწინებით. 2022 წლის 13 იანვარს, კომისიამ ცვლილება შეიტანა „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში და მას დაემატა შემდეგი შინაარსის 9.11 პუნქტი: „ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში ეფექტიანი ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობის წახალისების მიზნით, კომისია უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განსაზღვროს სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული სპექტრის სავარაუდო ღირებულებაზე დაადგინოს დამატებითი ფასდაკლება, რომელიც ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფასდაკლების ჩათვლით ჯამში არ უნდა აღემატებოდეს სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული სპექტრის სავარაუდო ღირებულების 80%-ს.“ გარდა ამისა, იგივე დადგენილება ორივე მეთოდოლოგიის გამოყენებისას ითვალისწინებს ბიზნეს-მოდელირების მეთოდოლოგიით გაანგარიშებული საფასურისთვის უპირატესობის მინიჭებას ბენჩმარკინგის მეთოდოლოგიასთან შედარებით. ერთი მხრივ, კომისია პრეტენზიას გამოთქვამს, რომ ავტორიზებული პირები არ არიან დაინტერესებული</p>	გთხოვთ იხილოთ კომენტარი 1.1-1.3

		<p>ახალი ტექნოლოგიების დანერგვით და ამ მიმართულებით ინვესტიციების განხორციელებით და, მეორე მხრივ, ერთწლიან მონაკვეთში იგივე კომისია 5-ჯერ ზრდის ლიცენზიის საფასურს, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ 2023 წლის შემდეგ მობილურ ბაზარზე სიტუაცია, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ლიცენზიის საფასურზე, პრაქტიკულად არ შეცვლილა. ყოველივე ეს კი, კომისიის მიკერძოებულ და არათანმიმდევრულ დამოკიდებულებას ადასტურებს, რაც საბოლოო ჯამში ნეგატიურად აისახება დარგის სწორ განვითარებაზე. აქვე შეგახსენებთ, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 11.2. გ) და 11.3 ბ) ქვეპუნქტების თანახმად, კომისიის ძირითად ამოცანებს და ფუნქციებს წარმოადგენს ინოვაციური ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრის ოპტიმალური განაწილება, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში ეფექტიანი ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოპოვების გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული პირობებისა და წესების დადგენა. კანონის 20.1. ბ) ქვეპუნქტის თანახმად, კომუნიკაციების სფეროში რეგულირების მიზანია ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელებსა და საშუალებებში ინვესტიციების წახალისება და ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობა. მაშინ, როდესაც, კანონის ზემოაღნიშნული ნორმების თანახმად, კომისიამ ხელი უნდა შეუწყოს კომპანიებს ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში და წახალისოს დარგში ინვესტიციების განხორციელება, კომისია მოქმედებს საპირისპიროდ და გაანგარიშების მეთოდოლოგიის ცვლილებით ხელოვნურად ამცირებს სიხშირეების საწყის ღირებულებას, რაც საბოლოოდ აისახება საბითუმო და საცალო ფასებში.</p>	
2.3		<p>ერთწლიან მონაკვეთში კომისიის მიდგომების (ფასის ზრდა და ამ მიზნით გამოყენებული მეთოდოლოგიების ცვლილება) რადიკალური ცვლილება ასევე წარმოშობს იმის აუცილებლობას, რომ კომისიამ განმარტოს მისი სამომავლო ხედვები მომდევნო ანალოგიურ აუქციონებთან მიმართებით. ამ კონკრეტული ხედვ(ებ)ის გაზიარების გარეშე, მნიშვნელოვნად რთულდება ნორმალური ბიზნეს გადაწყვეტილების ფორმირების პროცესი.</p>	<p>მომდევნო აუქციონების გამოცხადება დამოკიდებულია ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე, სიხშირულ რესურსზე მოთხოვნის არსებობაზე და კიდევ სხვა ფაქტორებზე, რასაც კომისია ითვალისწინებს აუქციონების გამოცხადებისას. თუმცა ყველა შემთხვევაში კომისია აუქციონების გამოცხადებისას იხელმძღვანელებს მოქმედი კანონმდებლობით.</p>
2.4		<p>კომისიის ქმედებები თანმიმდევრული და არადისკრიმინაციული რომ იყოს, მან პროექტში უნდა ასახოს ფასდაკლება დამატებითი დაფარვის ვალდებულების სანაცვლოდ, როგორც ეს გათვალისწინებული იყო 2023 წელს გამოცხადებულ აუქციონში. აუქციონში გამარჯვებულს, მისი სურვილის შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დამატებითი ვალდებულებების აღების სანაცვლოდ მიიღოს ფასდაკლება. ასეთი პირობა ნამდვილად არის დამატებითი სტიმული აუქციონში გამარჯვებულისთვის სწრაფად განავითაროს 5G ქსელი და იგი (ასეთი პირობის არსებობა), მათ შორის, სრულად თავსებადია ევროკავშირის ქვეყნების მიდგომებთან.</p>	<p>როგორც აღინიშნა, სიხშირული რესურსის საწყისი საფასურის დადგენის მეთოდოლოგია განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ კი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად</p>

			<p>აუქციონის გამართვისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დებულებით“. ამავ დამდგენილების მიხედვით, კომისიას შესაბამისი წინაპირობების არსებობისას უფლება აქვს სიხშირული რესურსზე დაადგინოს ფასდაკლება. შესაბამისად, ფასდაკლების დადგენა კომისიის უფლებამოსილება და არა ვალდებულებაა და იგი მხოლოდ მაშინ იყენებს ამ უფლებამოსილებას, როდესაც არსებობს შესაბამისი წინაპირობები. ამ შემთხვევაში კი, კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა ფასდაკლების დაწესება მხოლოდ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების დაშვების სანაცვლოდ. გთხოვთ, ასევე იხილოთ პასუხი კითხვაზე 1.8.1</p>
2.5		<p>აუქციონში გამარჯვებულის მიერ საფასურის დაუყოვნებლივ და ერთიანად გადახდის შემთხვევაში, გთხოვთ განიხილოთ დამატებითი ფასდაკლება.</p>	<p>კომისია ვერ გაიზიარებს შპს „მაგთიკომის“ წინადადებას აუქციონში გამარჯვებულის მიერ საფასურის დაუყოვნებლივ და ერთიანად გადახდის შემთხვევაში, დამატებითი ფასდაკლების დაწესების თაობაზე, ვინაიდან ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში დღეს მოქმედი კანონმდებლობა მათ შორის რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დებულება სალიცენზიო საფასურის დაუყოვნებლივ გადახდის შემთხვევაში ფასდაკლებას არ ითვალისწინებს.</p>
2.6		<p>პროექტით გათვალისწინებულია დასახლებები (ს. შატილი, ს. ომალო და ს. შენაქო), სადაც დაფარვის ვალდებულების ვადის ათვლა იწყება ასეთ ტერიტორიებზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობიდან. კომისიამ ანალოგიური პირობა უნდა დაადგინოს სხვა ისეთ რეგიონებში, სადაც არ არის ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო ინფრასტრუქტურა, როგორებიცაა: მესტიის მუნიციპალიტეტი - დაბა მესტია; ონის მუნიციპალიტეტი - კურორტი შოვი; ჟინვალი-კორმა; ჟინვალი - შატილი სავტომობილო გზის გასწვრივ მდებარე სოფლები: გუდანი, ბისო და ხახმატი.</p>	<p>კომპანიის მოთხოვნა დაბა მესტიასთან და კურორტ შოვთან დაკავშირებით, გათვალისწინებულია, კერძოდ პროექტში არსებული შენიშვნა დაკორექტირდება შემდეგნაირად: „შენიშვნა: დაფარვის ვალდებულების შესრულების ვადა განისაზღვრება ლიცენზიის მიღებიდან შესაბამისი წლის 31 დეკემბრამდე პერიოდით; დაფარვის ვალდებულებების შემოწმება მოხდება თანდართული „მომსახურების ხარისხის კონტროლის მეთოდოლოგიით“ (იხ. დანართი 2);</p>

			<p>გეოგრაფიული და ინფრასტრუქტურული სირთულეების გათვალისწინებით დაბა მესტიის, კურორტ შოვის, ს. შატილის, ს. ომალოს და ს. შენაქოს დაფარვის ვალდებულების ათვლა მოხდება ლიცენზიის მფლობელის ან მე-3 პირის მიერ კავშირის ისეთი ტექნიკური სისტემის შექმნიდან, რომელიც უზრუნველყოფს ქსელის აგების მიმართ ITU-R M.2083 და ITU-R M.2410-0 ან მომავალი თაობის IMT ქსელების მიმართ რეკომენდაციების შესრულების და დაფარვის ვალდებულებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში.“</p> <p>ასევე გათვალისწინებულია კომპანიის მოთხოვნა კონკრეტული საავტომობილო გზების დაფარვის ვალდებულებასთან დაკავშირებით კერძოდ პროექტში არსებული შენიშვნა დაკორექტირდება შემდეგნაირად: „შენიშვნა: დაფარვის ვალდებულების შესრულების ვადა განისაზღვრება ლიცენზიის მიღებიდან შესაბამისი წლის 31 დეკემბრამდე პერიოდით; დაფარვის ვალდებულებების შემოწმება მოხდება თანდართული „მომსახურების ხარისხის კონტროლის მეთოდოლოგიით“ (იხ. დანართი 2); გეოგრაფიული და ინფრასტრუქტურული სირთულეების გათვალისწინებით ჟინვალი-კორშას და ჟინვალი - შატილის საავტომობილო გზის გასწვრივ მდებარე სოფლების: გუდანის, ბისოს და ხახმატის დაფარვის ვალდებულების ათვლა მოხდება ლიცენზიის მფლობელის ან მე-3 პირის მიერ კავშირის ისეთი ტექნიკური სისტემის შექმნიდან, რომელიც უზრუნველყოფს ქსელის აგების მიმართ ITU-R M.2083 და ITU-R M.2410-0 ან მომავალი თაობის IMT ქსელების მიმართ რეკომენდაციების შესრულების და დაფარვის ვალდებულებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში.“</p>
2.7		<p>პროექტით გათვალისწინებულია რკინიგზის ან პორტების მხრიდან ლიცენზიის მფლობელი კომპანიის მიმართ 5G ქსელის და მომსახურების დანერგვის პროცესში დაუძლეველი დაბრკოლებების და ხელშემშლელი პირობების შექმნის შემთხვევაში დაფარვის ვალდებულების გადახედვა. ანალოგიური პირობა უნდა გავრცელდეს აეროპორტების შემთხვევაშიც.</p>	<p>კომპანიის მოთხოვნა აეროპორტების შესახებ გათვალისწინებულია, კერძოდ პროექტში არსებული ჩანაწერი დაკორექტირდება შემდეგნაირად: „შენიშვნა: დაფარვის ვალდებულების შესრულების ვადა განისაზღვრება ლიცენზიის მიღებიდან</p>

			<p>შესაბამისი წლის 31 დეკემბრამდე პერიოდით; დაფარვის ვალდებულებების შემოწმება მოხდება თანდართული „მომსახურების ხარისხის კონტროლის მეთოდოლოგიით“ (იხ. დანართი 2); საზღვაო პორტების ან/და აეროპორტების მხრიდან ლიცენზიის მფლობელი კომპანიის მიმართ 5G ქსელის და მომსახურების დანერგვის პროცესში დაუძლეველი დაბრკოლებების და ხელშემშლელი პირობების შექმნის შემთხვევაში, კომისია იმსჯელებს შესაბამისი დაფარვის ვალდებულების გადახედვაზე ლიცენზიის მფლობელის მომართვის საფუძველზე;</p>
2.8		<p>2023 წელს აუქციონის გამოცხადებასთან დაკავშირებით გამართულ საჯარო კონსულტაციებზე კომისიისაგან მივიღეთ დაპირება, რომ განხორციელდებოდა რადიოსიხშირის დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივების სანიტარული წესების და ნორმების საერთაშორისო გამოცდილებასთან შესაბამისობაში მოყვანა. ვინაიდან, ეს დაპირება ჯერ კიდევ არ არის შესრულებული, გთხოვთ, გვაცნობოთ, რა ეტაპზეა და როდის იგეგმება ამ ცვლილების განხორციელება.</p>	<p>კომისიის ინიციატივით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით და „მსოფლო ბანკის“ მხარდაჭერით, დასრულდა მუშაობა საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოში ელექტრომაგნიტური გამოსხივების სანიტარული წესების და ნორმების პროექტის შემუშავებაზე. შემუშავებული დოკუმენტის ორიგინალური ვერსია, რომელშიც რეკომენდებულია ICNIRP 2020 - ით განსაზღვრული ნორმების დანერგვა, 2022 წლის ნოემბერში მიეწოდა განხილვისთვის და შემდგომი რეაგირებისთვის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.</p>
2.9		<p>მაგთიკომი დაინტერესებულია 800 მჰც სიხშირული ზოლის შექმნით. შესაბამისად, დამატებითი რესურსის (2x5MHz) შექმნის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილი იყოს მაგთიკომის სარგებლობაში არსებული სიხშირული ზოლების მიმდევრობითი განლაგება (ზარალდება მომიჯნავე სიხშირეების მფლობელი ორივე ოპერატორი). გვაქვს მოლოდინი და საჭიროა კომისიის მხრიდან დადასტურება, რომ თქვენ, უზრუნველყოფთ ამ პროცესის განხორციელებას.</p>	<p>იმ შემთხვევაში თუ კომპანიებს შორის, რომლებიც ფლობენ ლიცენზიებს 800 მჰც სიხშირულ დიაპაზონში, მოხდება შეთანხმება დასმულ საკითხთან დაკავშირებით, კომისია მზადაა განხორციელოს ლიცენზიების მოდიფიცირება. ასევე, კომისია მზადყოფნას გამოთქვამს დაეხმაროს კომპანიებს მოლაპარაკების/შეთანხმების მიღწევის პროცესში.</p>

3	შპს "სელფი მობაილ"- №შ-24-6/3915, 06.09.2024																							
3.1		<p>უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთხსენებული პროექტით გათვალისწინებული 1 მპც ფასი 2023 წელს გამოცხადებული აუქციონით გათვალისწინებულ ფასთან შედარებით საშუალოდ 5-ჯერ გაზრდილია, იხ. ცხრილი N1.</p> <p>ცხრილი N1:</p> <table border="1" data-bbox="520 305 1423 492"> <thead> <tr> <th>სიხშირული დიაპაზონი</th> <th>2023 წელი მპც სპექტრის დირებულება (ლარი)/1 მპც</th> <th>2024 წელი მპც სპექტრის დირებულება (ლარი) /1 მპც</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>800</td> <td>741 000</td> <td>2 373 585</td> </tr> <tr> <td>700</td> <td>363 000</td> <td>2 062 560</td> </tr> <tr> <td>3400-3700</td> <td>52 000</td> <td>278 133</td> </tr> <tr> <td>2600</td> <td>27 000</td> <td>183 429</td> </tr> </tbody> </table> <p>ასეთვე, გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ზემოაღნიშნული პროექტითა და 2023 წლის აუქციონის გამოცხადების გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ერთი და იმავე კომბინირებული ლოტების ფასების შედარებაზე, საიდანაც იკვეთება, რომ ახალი პროექტით კომბინირებული ლოტების ფასი დაახლოებით 10-ჯერ გაზრდილია 2023 წლის აუქციონის ფასთან შედარებით. იხ. ცხრილი N2:</p> <p>ცხრილი N2</p> <table border="1" data-bbox="520 735 1423 911"> <thead> <tr> <th>კომბინირებული ლოტი</th> <th>2023 წელი კომბინირებული ლოტის დირებულება (ლარი)</th> <th>2024 წელი კომბინირებული ლოტის დირებულება (ლარი)</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>700-10 მპც (2X5 მპც) 3400-3700 - 50 მპც</td> <td>2 656 700</td> <td>27 625 800</td> </tr> </tbody> </table>	სიხშირული დიაპაზონი	2023 წელი მპც სპექტრის დირებულება (ლარი)/1 მპც	2024 წელი მპც სპექტრის დირებულება (ლარი) /1 მპც	800	741 000	2 373 585	700	363 000	2 062 560	3400-3700	52 000	278 133	2600	27 000	183 429	კომბინირებული ლოტი	2023 წელი კომბინირებული ლოტის დირებულება (ლარი)	2024 წელი კომბინირებული ლოტის დირებულება (ლარი)	700-10 მპც (2X5 მპც) 3400-3700 - 50 მპც	2 656 700	27 625 800	გთხოვთ იხილოთ კომენტარი 1.1
სიხშირული დიაპაზონი	2023 წელი მპც სპექტრის დირებულება (ლარი)/1 მპც	2024 წელი მპც სპექტრის დირებულება (ლარი) /1 მპც																						
800	741 000	2 373 585																						
700	363 000	2 062 560																						
3400-3700	52 000	278 133																						
2600	27 000	183 429																						
კომბინირებული ლოტი	2023 წელი კომბინირებული ლოტის დირებულება (ლარი)	2024 წელი კომბინირებული ლოტის დირებულება (ლარი)																						
700-10 მპც (2X5 მპც) 3400-3700 - 50 მპც	2 656 700	27 625 800																						
3.2		<p>ჩვენი მხრიდან დეტალურად იქნა შესწავლილი 2020 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული 5G აუქციონის პირობები და ვალდებულებები, რომელიც შევადარეთ 2024 წელს გამოქვეყნებული მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად მრავალ ლიცენზიანი (თანმიმდევრული) აუქციონების გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების პროექტის თანმხლებ დოკუმენტს - ე.წ. Pricing analysis პირობებს და გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ თვალშისაცემი და გაუგებარია კომბინირებული ლოტების ფასების 10-ჯერ გაძვირება, ხოლო ცალკე მდგომი ლოტების ფასების შემთხვევაში, მათი 5-ჯერ გაძვირება.</p>	გთხოვთ იხილოთ კომენტარი 1.1																					
3.3		<p>ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2020 წლის ნოემბერში საკონსულტაციო რეჟიმის ფარგლებში გამოაქვეყნა საკონსულტაციო დოკუმენტი „5G აუქციონის პირობები და ვალდებულებები“, სადაც კომისიამ გამოაქვეყნა 5G სიხშირეების სავარაუდო ფასები. 3 წლიანი კონსულტაციების შემდგომ, 2023 წელს აუქციონის გამოცხადებისას კომისიამ იხელმძღვანელა 2020 წლის საკონსულტაციო დოკუმენტით გამოქვეყნებული ფასებით. ამჯერად კი, კომისიამ მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის</p>	გთხოვთ იხილოთ კომენტარი 1.1 და 1.2																					

	<p>ლიცენზიების მისაღებად მრავალ ლიცენზიანი (თანმიმდევრული) აუქციონების გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების პროექტი სრულიად ახალი და განსხვავებული ფასებითა და ვადებით გამოაქვეყნა 2024 წლის 9 აგვისტოს, დაინტერესებულ მხარეებს კი პოზიციის წარსადგენად მხოლოდ მიმდინარე წლის 6 სექტემბრის ჩათვლით მისცა ვადა, რაც ერთ თვეზე ნაკლებია პერიოდია, ხოლო ამავე პროექტით აუქციონის ჩატარების თარიღებად განსაზღვრა 2024 წლის 9, 10, 11 და 12 ოქტომბერი.</p>	
3.4	<p>გვინდა შეგახსენოთ, რომ კომისიამ 2022 წლის 13 იანვარს, ცვლილება შეიტანა „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში, რომლის მიხედვითაც თუ სიხშირული რესურსის სავარაუდო ღირებულების დადგენა ხდება ე.წ. ბენჩმარკინგის და ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიით, სიხშირული რესურსის საწყისი ფასის განსაზღვრისას უპირატესობა ბიზნეს მოდელირებას ენიჭება. გთხოვთ, განგვიმარტოთ რით არის განპირობებული კომისიის მხრიდან აღნიშნული მიდგომის ცვლილება ახლად დაგეგმილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად მრავალ ლიცენზიანი (თანმიმდევრული) აუქციონების საწყისი ფასის განსაზღვრისას.</p>	<p>გთხოვთ იხილოთ კომენტარი 1.1 და 1.2</p>
3.5	<p>გთხოვთ განიხილოთ ახლად დაგეგმილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად მრავალლიცენზიანი (თანმიმდევრული) აუქციონების საწყისი ფასის გადახედვა და აუქციონების საწყისი ფასის განსაზღვრისას გამოიყენოთ ბიზნესმოდელირების მეთოდი, ასევე განახორციელოთ პროექტით გათვალისწინებული აუქციონის თარიღის გადაწევა გონივრული ვადით, ევროპაში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით. ეს პერიოდი დაინტერესებულ ავტორიზებულ პირებს საშუალებას მოგვცემს, შევიმუშაოთ დეტალური და რეალისტური ბიზნეს გეგმა და მოვიზიდოთ საჭირო ინვესტიციები.</p>	<p>კომენტარის პირველ ნაწილზე იხ. პასუხი 1.2 კომენტარზე. რაც შეეხება კომენტარის მე-2 ნაწილს, აუქციონების გამოცხადება 700, 800, 3500 და 2600 სიხშირულ დიაპაზონში 2024 წლის 6 ივნისს მოითხოვა შპს „მაგთიკომმა“ ხოლო შპს „სელფი მობაილმა“ მოითხოვა აუქციონის გამოცხადება 1800 მჰც სიხშირულ დიაპაზონში 2024 წლის 22 ივლისს. 2024 წლის აუქციონების ძირითადი პირობები და ვალდებულებები არსებითად იდენტურია 2023 წელს გამოცხადებული აუქციონების, ძირითადი განსხვავება არის საფასურში, შესაბამისად მიგვაჩნია რომ კანონმდებლობით დადგენილი ვადები რაც გათვალისწინებულია აუქციონების გამოცხადებისთვის, საკმარისია აუქციონში მონაწილეობისთვის მოსამზადებლად. ასევე აღსანიშნავია რომ შპს „სელფი მობაილი“ უკვე ფლობს 5G მომსახურებისთვის განკუთვნილ სიხშირულ რესურსს, ხოლო შპს „მაგთიკომს“ სურს შემჭირდოებულ ვადებში სიხშირეების მოპოვება და 5G მომსახურების მიწოდება აბონენტებისთვის, შესაბამისად როდესაც არსებობს მოთხოვნა ბაზრის ერთ-</p>

			<p>ერთი მსხვილი ოპერატორისგან ამ მოცემულობიდან გამომდინარე აუქციონის ჩატარების თარიღის გადაწევა მიზანშეწონილი არ არის.</p>
3.6		<p>2. ჩვენს მიერ შედარებულ იქნა 2023 წელს 6 ივლისს გამოცხადებული მრავალლიცენზიანი აუქციონების პირველი 4 კომბინირებული ლოტის და 2024 წლის 9 აგვისტოს კომისიის მიერ გამოქვეყნებული, მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად მრავალლიცენზიანი (თანმიმდევრული) აუქციონების გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების პროექტით გათვალისწინებული კომბინირებული ლოტების დაფარვის ვალდებულებები, რომლებიც ერთმანეთისგან არ განსხვავდება. რაც შეეხება 2023 წლის 6 ივლისს გამოცხადებული მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად მრავალლიცენზიანი აუქციონების პირობებს, მათ შესაბამისად კომბინირებული ლოტების მიმართ გამოყენებულ იქნა 40%-იანი ფასდაკლება, ლიცენზიებით გათვალისწინებული დაფარვის ვალდებულების სანაცვლოდ. მიგვაჩნია, რომ 2024 წლის 9 აგვისტოს კომისიის მიერ გამოქვეყნებულ მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად მრავალლიცენზიანი (თანმიმდევრული) აუქციონების გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების პროექტში უნდა შევიდეს ცვლილება და გათვალისწინებულ იქნას სულ მცირე 40% ფასდაკლება მსგავსად 2023 წლის 6 ივლისს გამოცხადებული მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად მრავალლიცენზიანი (თანმიმდევრული) აუქციონების პირობებისა.</p>	<p>აუქციონის გამოცხადებისას ლიცენზიის საწყის საფასურზე ფასდაკლების გამოყენება კომისიის დისკრეციული უფლებაა, დღეის მდგომარეობით პროექტი ითვალისწინებს სიხშირული რესურსის საწყის საფასურზე 20%-იან ფასდაკლებას ხოლო დამატებითი ვალდებულებების აღების სანაცვლოდ ფასდაკლების დაწესება არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად.</p>
3.7		<p>2024 წლის 22 ივლისს შპს „სელფი მობაილ“-მა კომისიას მიმართა თხოვნით, გამოცხადებულიყო აუქციონი მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად, რადიოსიხშირული სპექტრის სიხშირული რესურსზე, კერძოდ 40 მჰც (2X20 მჰც), 1920-1925მჰც 2110-2115მჰც და 1965-1980მჰც 2155-2170მჰც სიხშირეებზე. აღნიშნული მომართვის საფუძველი იყო შპს „სელფი მობაილ“-ის სურვილი და შემხვედრი საჭიროება გააფართოვოს და გააუმჯობესოს თავისი 4G ქსელი, რათა მომხმარებლებს შესთავაზოს კონკურენტული და მაღალი ხარისხის 4G ინტერნეტი. დღეის მდგომარეობით, შპს „სელფი მობაილი“ განიცდის რადიო სიხშირული სპექტრის უკმარისობას 4G ქსელის გაუმჯობესებისათვის, რის გამოც ჩვენს კომპანიას სამომავლოდ შეექმნება პრობლემა დააკმაყოფილოს</p>	<p>2100 მჰც სიხშირულ დიაპაზონში აუქციონი გამოცხადებულია ორ ლოტზე (თითოეული 10 მჰც-ის ოდენობით) 20 მჰც სიხშირულ რესურსზე. კომისია ვერ გაიზიარებს კომპანიის მოთხოვნას აუქციონზე 40 მჰც-ის გამოტანასთან დაკავშირებით, ვინაიდან კომისიას მიაჩნია, რომ გარკვეული მოცულობის სიხშირული რესურსის დარეზერვება უნდა მოხდეს რათა ხელი შეეწყოს ბაზარზე კონკურენციის განვითარებას და ბაზარზე ახალი ოპერატორის გამოჩენის შემთხვევაში არ</p>

	<p>მზარდი 4G ინტერნეტის მოხმარება, რაც პრობლემას შეუქმნის უსადენო/მობილურ ბაზარზე გრძელვადიანი კონკურენციის უზრუნველყოფის საკითხს. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლება შეიძლება შეეზღუდოს პირს, რომელიც აუქციონის გამოცხადების მომენტისათვის დამოუკიდებლად ან/და მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებთან ერთად არის, ან აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში გახდება რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტულ მონაკვეთზე (რადიოსიხშირულ დიაპაზონზე) ან მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთების (რადიოსიხშირული დიაპაზონების) ერთობლიობაზე აუქციონის გამოცხადების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალურ ოდენობაზე მეტის მფლობელი. ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმის საფუძველზე, რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა, შესაძლებელია დადგინდეს, როგორც რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთის (რადიოსიხშირული დიაპაზონის) ფარგლებში, ასევე მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთების (რადიოსიხშირული დიაპაზონების) ერთობლიობისათვის. მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთების (რადიოსიხშირული დიაპაზონების) ერთობლიობა უნდა მოიცავდეს ისეთი სახის რადიოსიხშირულ დიაპაზონებს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ერთი და იმავე ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მისაწოდებლად; როგორც თქვენთვის ცნობილია, 2100 მჰც დიაპაზონში: მაგთიკომს გააჩნია - 30 მჰც; სილქნეტს - 30 მჰც; სელფი მობაილს - 20 მჰც; ხოლო, 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში ჯამურად: მაგთიკომს გააჩნია - 126.2 მჰც; სილქნეტს - 123.4 მჰც; სელფი მობაილს - 80.98 მჰც. მაგთიკომსა და სილქნეტს, სელფი მობაილთან შედარებით სათითაოდ 50% მეტი სიხშირე გააჩნიათ 2100მჰც დიაპაზონში. უსადენო/მობილურ ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის მისაღებ მინიმალურ დონეს წარმოადგენს მინიმუმ სამი ოპერატორისათვის კონკურენტული სამოქმედო პირობების შექმნა, რომ მოცემული აუქციონის ფარგლებში განსაზღვროს ისეთი სახის დასაშვები რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც საშუალებას მისცემს მინიმუმ სამ ქსელურ ოპერატორს, კონკურენტული უსადენო/მობილური მომსახურება შესთავაზოს აბონენტებს. აუცილებელია, რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის დადგენისას გათვალისწინებულ იქნას საქართველოში ჰარმონიზებულ დიაპაზონებში, სულ არსებული (ხელმისაწვდომი) რესურსი, კერძოდ ლიცენზიის მფლობელების სარგებლობაში არსებული რადიოსიხშირული რესურსი, აუქციონის ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსი, ისევე,</p>	<p>შეიქმნას სიხშირული რესურსის დეფიციტი. აქედან გამომდინარე, ცალკეულ დიაპაზონებში, მათ შორის, 2100 მჰც სიხშირულ დიაპაზონში მოხდა გარკვეული მინიმალური რესურსის დარეზერვება. ასევე ამ ეტაპზე კომისიას არ მიაჩნია მიზანშეწონილად რესურსის მაქსიმალური ოდენობის დაწესება აღნიშნულ დიაპაზონზე.</p>
--	--	--

		<p>როგორც ის თავისუფალი რესურსი, რომლის აუქციონზე გამოტანაც შესაძლებელია აუქციონის გამოცხადების მომენტისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მიღებულ უნდა იქნეს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, მრავალიცენზიანი (თანმიმდევრული) აუქციონების ფარგლებში აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ იქნას 1920-1925მმც 2110-2115მმც და 1965-1980მმც 2155-2170მმც სიხშირეები ჯამში 40 მმც და აგრეთვე 2100მმც დიაპაზონში ან/და 800/900/1800/2100 მმც დიაპაზონებში დასადგენი რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის (ე.წ. Spectrum Cap) შესახებ, სადაც გათვალისწინებული იქნება უსადენო/მობილურ ბაზარზე რადიოსიხშირული რესურსის მართვის კუთხით საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოს ბაზარზე რადიოსიხშირეების განაწილების კუთხით არსებული მდგომარეობა, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურულ დონეზე კონკურენციის ხელშეწყობასა და შემდგომ განვითარებას. ასევე, სამართლიანად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია კომიის მიერ გამოყენებულ იქნას 2014 წელსა და 2023 წელს გამოყენებული მიდგომა სიხშირული სპექტრის განაწილებისათვის, როდესაც ე.წ. Spectrum Cap-ის ოდენობა წარმოადგენდა შესაბამის დიაპაზონში მთლიანი სიხშირის მოცულობის 1/3-ს თითოეული მობილური ოპერატორისათვის.</p>	
--	--	--	--

კახი ბექაური



თავმჯდომარე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ვახტანგ აბაშიძე



წევრი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ივანე მახარაძე

წევრი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

A handwritten signature in blue ink, appearing to read 'ი. მახარაძე', with a long horizontal stroke underneath.